ხელშეკრულება
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N 71

ქ.გორი „28“ „ნოემბერი“ 2016 წელი

ერთის მხრივ სსიპ გორის # 12 საჯარო სკოლა (შემდგომში – შემსყიდველი), წარმოდგენილი მისი დირექტორის რუსუდან ლომიძის სახით და მეორეს მხრივ, შპს ვაზ რენოვაცია (შემდგომში – მიმწოდებელი) წარმოდგენილი არჩილ ქავთარაძის სახით, ვხელმძღვანელობთ რა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე

## 1. ხელშეკრულების საგანი და ობიექტი

1.1 ხელშეკრულების საგანია სსიპ გორის #12 საჯარო სკოლის სკუთარი სახსრებით, მონიტორული ზღვრების დაცვით. ელ. მოწყობილობები და აპარატურა (CPV 31600000: ელ. სადენები(CPV 32400000); ავეჯის აქსესუარები (CPV 39200000); დანადგარები მექანიკური ენერგიის წარმოებისა და გამოუენებისათვის (CPV 42100000): საამშენებლო მასალები და დამხმარე საამშენებლო მასალები (CPV 44100000): საღებავები, ლაქები და მასტიკები (CPV 44800000): შესყიდვა, წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით.

1.2 ხელშეკრულების ობიექტია: იხილეთ დანართი N 1

## 2. ხელშეკრულების საერთო ღირებულება

2.1 შესყიდვის ობიექტის ფასი განისაზღვრება ლარებში.

2.2 შესყიდვის ობიექტის საერთო ღირებულება შეადგენს 559.70 (ხუთას ორმოცდაცხრამეტი და 70) ლარს ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანამდევი ხარჯების ჩათვლით.

2.3 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის შესყიდვასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

## 3. შესყიდვის ობიექტის ხარისხი

3.1 მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ მიწოდებული ობიექტის ხარისხი უპასუხებს ხელშეკრულების პირობებს და დააკმაყოფილებს შემსყიდველის მოთხოვნებს.

3.2 შესყიდვის ობიექტის ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს ამ სფეროში არსებულ სტანდარტებს და ტექნიკურ ნორმებს.

## 4. შესყიდვის ობიექტის მიწოდების პირობები

4.1 შესყიდვის ობიექტის მიწოდებას უზრუნველყოფს მიმწოდებელი საკუთარი ხარჯებით.

4.2 მიმწოდებელი ვალდებულია ხელშეკრულების გაფორმებიდან 2016 წლის 28 ნოემბრის ჩათვლით უზრუნველყოს შესყიდვის ობიექტის მიწოდება.

4.3 მიმწოდებელი ვალდებულია გადასცეს შემსყიდველს უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო საქონელი.

## 5. შესყიდვის ობიქტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1 შესყიდვის ობიექტის მიღება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტით, შემსყიდველისა და მიმწოდებლის საამისოდ უფლებამოსილი წარმომადგენლის ხელმოწერით.

5.2 ხელშეკრულების შესრულების კონტროლზე და ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიღება-ჩაბარების აქტების გაფორმებაზე უფლებამოსილი სსიპ გორის N 12 საჯარო სკოლის მატერიალურ - ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორი: დავით კოლოტაშვილი

## 6. ანგარიშსწორების ფორმა, გრაფიკი (ვადები)

6.1 მიწოდებული ობიექტის ღირებულების ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით.

6.2 ანგარიშსწორება შემსყიდველის მიერ მოხდება საქონლის მიწოდებისა და აღნიშნულის თაობაზე მხარეთა შორის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში.

6.3 მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებასთან ერთად, მიმწოდებელი ვალდებულია წარმოუდგინოს შემსყიდველს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაცია, წინააღმდეგ შემთხვევაში, შემსყიდველს უფლება აქვს უარი თქვას ანგარიშსწორებაზე.

## 7. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

7.1 შემსყიდველს უფლება აქვს:

- შეამოწმოს მიწოდებული ხელშეკრულების ობიექტის ხარისხის შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან;

7.2 შემსყიდველი ვალდებულია:

-მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;
- უზრუნველყოს შესყიდვის ობიექტის მიღება.

7.3 მიმწოდებელს უფლება აქვს:

გათვალისწინებული პირობებით.

7.4 მიმწოდებელი ვალდებულია:

- დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

## 8. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას

8.1 მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

8.2 თუ ხელშეკრულების რომელიმე მხარე დაარღვევს წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებას, მაშინ ხელშეკრულების მეორე მხარეს შეუძლია მოითხოვოს ხელშეკრულების გასვლა ვალდებულების შესრულებისათვის მის მიერ დამატებით განსაზღვრული ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ (დამატებითი ვადის განსაზღვრისათვის გამოიყენება წერილობითი ფორმა). თუ ვალდებულების ხასიათიდან გამომდინარე შეუძლებელია გამოყენებულ იქნას დამატებითი ვადა, მაშინ დამატებითი ვადის განსაზღვრას უთანაბრდება გაფრთხილება.

8.3 მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

8.4 ხელშეკრულებიდან გასვლისას მხარეს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას მიადგა მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობით.

8.5 ხელშეკრულებიდან გასვლასთან და ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით შესაბამისად გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის შესაბამისი მუხლები.

8.6 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან ვალდებულების შესრულების ვადების დარღვევის შემთხვევაში, დამრღვევ მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა, – ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0.1%-ის ოდენობით, ხოლო, თუკი ადგილი აქვს ვალდებულების ნაწილის შეუსრულებლობას, პირგასამტეხლო შეადგენს ვალდებულების შეუსრულებელი ნაწილის 0.1 %-ს.

8.7 საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს დამრღვევ მხარეს ხელშეკრულებით ნაკისრის ვალდებულებების შესრულებისაგან.

## 9. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

9. 1 ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელის მოწერის დღიდან 2016 წლის 30 დეკემბრის ჩათვლით.

## 10. ხელშეკრულებაში ცვლილებებისა და დამატებების განხორციელების წესი

10.1 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების განხორციელების შემთხვევაში, აღნიშნული ცვლილება უნდა გაფორმდეს წერილობითი ფორმით.

10.2 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა.

10.3 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობის გაზრდა.

## 11. ფორს-მაჟორი

11.1 ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

11.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

11.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

## 12. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

12.1 ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

12.2 შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

## 13. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

13.1 შემსყიდველი უფლებამოსილია ხელშეკრულების ობიექტის მიწოდების პარალელურად მოახდინოს მისი შემოწმება, რომლის მიზანია მისი შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნებთან.

13.2 ხელშეკრულების ინსპექტირებას შემსყიდველის მხრიდან განახორციელებენ წინამდებარე ხელშეკრულების 5.2 მუხლში აღნიშნული პირები.

13.3 შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ შემსყიდველი დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს მიმწოდებელს დაწუნებული ხელშეკრულების ობიექტის რაოდენობისა და წუნდების მიზეზების მითითებით.

13.4 გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან და ხელახალ ინსპექტირებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

## 14. სხვა პირობები

14.1 მხარეები აუნაზღაურებენ ერთმანეთს მიყენებულ ზარალს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

14.2 არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

14.3 მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

14.4 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, სამ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან (ერთი პირი მიმწოდებელთან და ორი პირი შემსყიდველთან). ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

14.5 წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

## 15. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

| შემსყიდველი | მიმწოდებელი |
|---|---|
| სსიპ გორის #12 საჯარო სკოლა | შპს ,,ვაზ რენოვაცია'' |
| მისამართი: ქ. გორი, ნინოშვილის ქ.#54 | მისამართი: ქ. გორი, შინდისის გზ. # 2 |
| ბანკი: სს ,,ლიბერთი ბანკი" | ბანკი: სს ,,პროკრედიტ ბანკი'' |
| ბანკის კოდი LBRTGE22; | ბანკის კოდი : MIBGGE22 |
| ანგ.# GE82LB0121141252767000 | ანგ.# GE50PC0143600100027929; |
| ს/კოდი: 218016769 | ს/კოდი: 218083160 |
| დირექტორი | დირექტორი |
| რუსუდან ლომიძე | არჩილ ქავთარაძე |

დანართი N 1

ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N 71 ის თანახმად

| # | დასახელება | cpv კოდი | განზ. ერთეული | რაოდენობა | ერთეულის ფასი (ლარი) | საერთო ფასი (ლარი) |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | პაკლი | 31651000 | ცალი | 2 | 3,00 | 6,00 |
| 2 | ელ. სადენი ერთ წვერა | 32400000 | მეტრი | 20 | 1,10 | 22 |
| 3 | სამღებრო ლილვაკი | 39200000 | ცალი | 1 | 10,00 | 20,00 |
| 4 | ვენტილი ბურთულა | 42100000 | ცალი | 2 | 10,00 | 10,00 |
| 5 | ცემენტი (ტომარა) | 44111200 | ცალი | 12 | 11,00 | 132,00 |
| 6 | საღებავი ემალი 2,7 კგ | 44111400 | ცალი | 1 | 10,00 | 10,00 |
| 7 | საღებავი ბეტეკი 3,5 კგ | 44111400 | ცალი | 1 | 18,00 | 18,00 |
| 8 | საღებავი ფერები კოლორექსი | 44100000 | ცალი | 4 | 3,00 | 12,00 |
| 9 | საღებავი სპრეი | 44111400 | ცალი | 2 | 4,00 | 8,00 |
| 10 | სამკაპი 32 მმ | 44167300 | ცალი | 14 | 1,00 | 14,00 |
| 11 | სამკაპი 25 მმ | 44167300 | ცალი | 12 | 0,50 | 6,00 |
| 12 | ქურო 32 მმ | 44165300 | ცალი | 14 | 0,60 | 8,40 |
| 13 | ქურო 25 მმ | 44165300 | ცალი | 4 | 0,40 | 1,60 |
| 14 | ქურო ჩამხსნელით | 44165300 | ცალი | 12 | 3,00 | 36,00 |
| 15 | ქურო ჩამხსნელით | 44165300 | ცალი | 8 | 3,00 | 24,00 |
| 16 | ქურო პლასმასის 25*20 | 44165300 | ცალი | 12 | 0,40 | 4,80 |
| 17 | მუხლი 32*90 | 44100000 | ცალი | 24 | 0,60 | 14,40 |
| 18 | მუხლი 25*45 | 44100000 | ცალი | 4 | 0,50 | 2,00 |
| 19 | მუხლი 25*90 | 44100000 | ცალი | 10 | 0,40 | 4,00 |
| 20 | მილი დ - 32 | 44163000 | მეტრი | 34 | 2,50 | 85,00 |
| 21 | წყლის მილი დ - 25 | 44163000 | მეტრი | 17 | 1,50 | 25,50 |
| 22 | კარისა და ფანჯრის შუასაფენი | 44111500 | ცალი | 1 | 4,00 | 4,00 |
| 23 | გადამყვანი 32*25 | 44100000 | ცალი | 12 | 0,60 | 7,20 |
| 24 | ხუფი 25 მმ | 44100000 | ცალი | 2 | 0,40 | 0,80 |
| 25 | პოლიურეთანის ქაფი | 44100000 | ცალი | 2 | 8,00 | 16,00 |
| 26 | ლაქი 2,5 კგ | 44820000 | ცალი | 2 | 25,00 | 50,00 |
| 27 | გამხსნელი 0,8 კგ | 44832200 | ცალი | 1 | 6,00 | 6,00 |
| 28 | გამხსნელი 2,5 კგ | 44832200 | ცალი | 1 | 12,00 | 12,00 |

სკოლის დირექტორი

შპს ,,ვარ-ენოვაციის" დირექტორი

| 1 | სასაქონლო ზედნადები # | ელ- 0275678935 |
|---|---|---|

| 2 | 28/11/2016 |
|---|---|

თარიღი (რიცხვი, თვე, წელი)

| 3 | 14:12:34 |
|---|---|

დრო (საათი, წუთი)

(დღგ-ს გადამხდელი)

| 4 | შპს ვაზ რენოვაცია | 218083160 |
|---|---|---|
| | გამყიდველის (გამგზავნის) დასახელება,ან სახელი და გვარი | საიდენტიფიკაციო/პირადი ნომერი |

| 5 | სსიპ ქალაქ გორის #-12 საჯარო სკოლა | 218016769 |
|---|---|---|
| | მყიდველის (მიმღების) დასახელება,ან სახელი და გვარი | საიდენტიფიკაციო / პირადი ნომერი |

| 6 | ოპერაციის შინაარსი | ტრანსპორტირებით |
|---|---|---|

| 7 | გორი,შინდისის გზატ. 2 |
|---|---|

ტრანსპორტირების დაწყების ადგილი (მისამართი)

| 8 | გორი ნინოშვილის 54 |
|---|---|

ტრანსპორტირების დასრულების ადგილი (მისამართი)

| 9 | სხვა |
|---|---|

ტრანსპორტირების სახე

| 10 | X |
|---|---|

სატრანსპორტო საშუალების სახელმწიფო ნომერი

მისაბმელი

| 11 | სატრანსპორტო საშუალების მძღოლის პირადი ნომერი | X |
|---|---|---|

| 12 | გამყიდველის(გამგზავნის)/მყიდველის(მიმღების) მიერ გაწეული ტრანსპორტირების ხარჯი | გამყიდველი - 0 |
|---|---|---|

თანხა ლარებში

# სასაქონლო ზედნადების ცხრილი

| # | საქონლის დასახელება | საქონლის კოდი | საქონლის ზომის ერთეული | საქონლის რაოდენობა | საქონლის ერთეულის ფასი* | საქონლის ფასი * |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | CEM II B-M 32.5 /N შეფუთული/ (ტომარა) ცემენტი | 5023 | ცალი | 12.0000 | 11.0000 | 132.0000 |
| 2 | ნიტრო ლაქი დოლგუ 2.5 კგ (IDEAL) | 5204 | ცალი | 2.0000 | 25.0000 | 50.0000 |
| 3 | გამხსნელი 0.8კგ (646) ( ც) | 2130 | ცალი | 1.0000 | 6.0000 | 6.0000 |
| 4 | სამღებრო ლილვაკი 20სმ// | 7058 | ცალი | 1.0000 | 10.0000 | 10.0000 |
| 5 | ემალი`პლატინიუმ პლუს ` 2.7კგ პფ 115// | 1150 | ცალი | 1.0000 | 10.0000 | 10.0000 |
| 6 | გამხსნელი 2,5ლტ | 2127 | ცალი | 1.0000 | 12.0000 | 12.0000 |
| 7 | კოლორექსი 100მლ// | 1140 | ცალი | 4.0000 | 3.0000 | 12.0000 |
| 8 | საღებავი "Betek Plus" 3.5/1ც | 8691529263513 | ცალი | 1.0000 | 18.0000 | 18.0000 |
| 9 | სპრეი საღებავი ვერცხლისფერი// | 311 | ცალი | 2.0000 | 4.0000 | 8.0000 |
| 10 | კარის და ფანჯრის შუასფენი (ყავისფერი) | 171 | ცალი | 1.0000 | 4.0000 | 4.0000 |

| 13 | 559.7 - ხუთას ორმოცდაცხრამეტი ლარი და სამოცდაათი თეთრი |
|---|---|

მიწოდებული საქონლის მთლიანი თანხა (ციფრებით და სიტყვიერად)

| 14 | |
|---|---|

გამყიდველი (გამგზავნი)/საქონლის ჩაბარებაზე უფლებამოსილი პირი (თანამდებობა, სახელი და გვარი)

| 15 | |
|---|---|

მყიდველი (მიმღები)/საქონლის მიღებაზე უფლებამოსილი პირი (თანამდებობა, სახელი და გვარი)

| 16 | |
|---|---|

ხელმოწერა

| 17 | |
|---|---|

ხელმოწერა

| 18 | მიწოდებული საქონლის ჩაბარების | 28/11/2016 | 14:12:39 |
|---|---|---|---|
| | | თარიღი (რიცხვი, თვე, წელი) | დრო (საათი, წუთი) |

| 19 | |
|---|---|

შენიშვნა: * დღგ-ს გადამხდელისათვის დღგ-ს ჩათვლით, აქციზის გადამხდელისათვის აქციზურ საქონელზე, დღგ-ს და აქციზის ჩათვლით

ამობეჭვდვის თარიღი 28/11/2016, 14:54:28

0275678935 სასაქონლო ზედნადების დანართი

| # | საქონლის დასახელება | საქონლის კოდი | საქონლის ზომის ერთეული | საქონლის რაოდენობა | საქონლის ერთეულის ფასი* | საქონლის ფასი * |
|---|---|---|---|---|---|---|
| 11 | ბურთულა ვენტილი 32 მმ// | 01025 | ცალი | 2.0000 | 10.0000 | 20.0000 |
| 12 | სამკაპი 32მმ თეთრი// | 622 | ცალი | 14.0000 | 1.0000 | 14.0000 |
| 13 | ქურო 32მმ თეთრი// | 630 | ცალი | 14.0000 | 0.6000 | 8.4000 |
| 14 | მუხლი 32*90 თეთრიx | 137 | ცალი | 24.0000 | 0.6000 | 14.4000 |
| 15 | გადამყვანი 32-25x | 04333 | ცალი | 12.0000 | 0.6000 | 7.2000 |
| 16 | ქურო ჩამხსნელით 20*1/2 გ/ხ// | 01029 | ცალი | 12.0000 | 3.0000 | 36.0000 |
| 17 | პლასტმასის ქურო 25x20x | 0109 | ცალი | 12.0000 | 0.4000 | 4.8000 |
| 18 | პოლიმერული პაკლი 1/2*12M | 6022 | ცალი | 2.0000 | 3.0000 | 6.0000 |
| 19 | სამკაპი 25// | 01015 | ცალი | 12.0000 | 0.5000 | 6.0000 |
| 20 | წყლის მილი 25 - 3,5 მმ PN16// | 2535 | მეტრი | 17.0000 | 1.5000 | 25.5000 |
| 21 | მილი დ-32// | 487 | მეტრი | 34.0000 | 2.5000 | 85.0000 |
| 22 | ელ. სადენი 2 * 2.5 CYKYLO-U ერთწვერა , შავი | 4923 | მეტრი | 20.0000 | 1.1000 | 22.0000 |
| 23 | პოლიუნითანის ქაფი 750მლ// | 7912 | ცალი | 2.0000 | 8.0000 | 16.0000 |
| 24 | მუხლი 25 90 გრ// | 01011 | ცალი | 10.0000 | 0.4000 | 4.0000 |
| 25 | ქურო 25// | 01013 | ცალი | 4.0000 | 0.4000 | 1.6000 |
| 26 | ხუფი 25 მმ// | 0107 | ცალი | 2.0000 | 0.4000 | 0.8000 |
| 27 | მუხლი 25*45`// | 0364 | ცალი | 4.0000 | 0.5000 | 2.0000 |
| 28 | ქურო ჩამხსნელით 20*1/2 შ/ხ// | 01027 | ცალი | 8.0000 | 3.0000 | 24.0000 |

| | |
|---|---|
| 13 | 559.7 - ხუთას ორმოცდაცხრამეტი ლარი და სამოცდაათი თეთრი |

მიწოდებული საქონლის მთლიანი თანხა (ციფრებით და სიტყვიერად)

| | |
|---|---|
| 14 | |

გამყიდველი (გამგზავნი)/საქონლის ჩაბარებაზე უფლებამოსილი პირი (თანამდებობა, სახელი და გვარი)

| | |
|---|---|
| 15 | |

მყიდველი (მიმღები)/საქონლის მიღებაზე უფლებამოსილი პირი (თანამდებობა, სახელი და გვარი)

| | |
|---|---|
| 16 | |

ხელმოწერა

| | |
|---|---|
| 17 | |

ხელმოწერა

| | | | |
|---|---|---|---|
| 18 | მიწოდებული საქონლის ჩაბარების | 28/11/2016 | 14:12:39 |

თარიღი (რიცხვი, თვე, წელი) დრო (საათი, წუთი)

| | |
|---|---|
| 19 | |

შენიშვნა: * დღგ-ს გადამხდელისათვის დღგ-ს ჩათვლით, აქციზის გადამხდელისათვის აქციზურ საქონელზე, დღგ-ს და აქციზის ჩათვლით

ამობეჭდვის თარიღი 28/11/2016, 14:54:29

ს.ს.ი.პ. გორის № 12 საჯარო სკოლას და შპს „ვაზ - რენოვაცია" - ს შორის 2016 წლის 28 სნოემბერს გაფორმებული ხელშეკრულების პირობების შესაბამისად სამუშაოების შესრულებისა და საქონლის მიწოდების

# საბოლოო
# მიღება –ჩაბარების
# აქტი

ქ. გორი 28 ნოემბერი 2016 წ

ს.ს.ი.პ. გორის № 12 საჯარო სკოლას და შპს „ვაზ - რენოვაცია" - ს შორის 2016 წლის 28 ნოემბერს გაფორმებული № 71 ხელშეკრულების პირობების შესაბამისად, ჩვენ, ქვემოთ ხელის მომწერნი, ერთის მხრივ „დამკვეთი" ს.ს.ი.პ. ქალაქ გორის № 12 საჯარო სკოლა მისი დირექტორის რუსუდან ლომიძის სახით და მეორეს მხრივ „მიმწოდებელი" „ ვაზ - რენოვაცია" - ს დირექტორის არჩილ ქავთარაძის სახით, ხელს ვაწერთ აქტს მასზედ, რომ, ზემოაღნიშნულ ხელშეკრულებაში მითითებული საქონლის მოწოდება შესრულებულია.

2015 წლის 28 ნოემბერს გაფორმებული ხელშეკრულების პირობებით განსაზღვრულმა საქონლის მოწოდებამ

შეადგინა ; 559,70 (ხუთას ორმოცდაცხრამეტ ლ. და 70 თ) ლარი

მიიღო „დამკვეთი"

რუსუდან ლომიძე

ჩააბარა „მომწოდებელი"

არჩილ ქავთარაძე

სსიპ ქალაქ გორის №12 საჯარო სკოლა
LEPL - Gori Public School
*218016769*

| | | | |
|---|---|---|---|
| LIBERTY BANK | ლიბერთი ბანკი | | **GEL** |
| | საგადახდო დავალება #: | 207 | GEL |
| | თარიღი: | 2016 წლის 30 11, ოთხშაბათი | 559.70 |
| გადამხდელის დასახელება: | სსიპ ქალაქ გორის #12 საჯარო სკოლა | | *თანხა სიტყვიერად* |
| | ანგარიში (დებეტი): | GE82LB0121141252767000 | |
| გადამხდელის ბანკი: | სს "ლიბერთი ბანკი" | ბანკის კოდი: LBRTGE22 | *ხუთას ორმოცდაცხრამეტი GEL და 70* |
| გადასახადის გადამხდელის დასახელება: | | | |
| საიდენტიფიკაციო კოდი: | | საბიუჯეტო შემოსავლის კოდი: | ბანკის აღნიშვნები |
| მიმღების დასახელება: | შპს ,,ვაზ - რენოვაცია | | ბანკში შემოსვლის თარიღი: 30.11.2016 |
| საიდენტიფიკაციო კოდი: 218083160 | ანგარიში (კრედიტი): | GE50PC0143600100027929 | |
| მიმღების ბანკი: | "პროკრედიტ ბანკი" | ბანკის კოდი: MIBGGE22 | |
| გადახდის დანიშნულება: | რემონტის მასალების ღირებულება | | ხელმოწერა: |
| ხელმოწერა: | | | |
| | | ბ.ა. | LIBERTY BANK |
| | დოკუმენტი დაბეჭდილია ინტერნეტ ბანკიდან | | |